საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციონ. პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

კვირა, ნოემბრის 6 1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძოლის დღესასწაული

მოვკვდებით, ჩვენს ძვლებს შავი მიწა დაეფარება, ჩვენი სისხლით გ მოიკვებება თანამედროვე სოციალური ცხოვრება, რომელსაც მრავალი ცოდნით დატვირთული ისტორიკოსი ჩაუჯდება საკვლევად და საძიებლად, რათა ქაღალდზე გადაიტანოს მძიმე ცხოვრების მძიმე პირობები, მაგრამ ბრწყინვალე იდეებით აღსავსე დღევანდელი ჩვენი ქაპან-წყვეტა.

ვიგონებთ საფრანგეთის დიდ რევოლუციას: მირაბოების მქუხარე სიტყვებს, სისხლის ტბას მარატის და რობესპიერის რეჟიმისას, მაშინდელ სიმშილს, რევოლუციონურ სიტიტვლეს, რევოლუციონურ სიძვირეს, რევოლუციის ათი ათასობით სამართლიან თუ უსამართლო მსხვერპლს, დროებას, როცა ადამიანების თავები ისე იცვლებოდა ეშაფოტებით, როგორც მახვილი ცელის პირში მობიბინე თივა, მაგრამ ამ დროებას დაშორებულნი ვივიწყებთ ყოველივე ამას, მაშინდელ ხალხის გაჭირვებას და ოცნების საგნად დასახული ვფიქრობთ;—ოჰ, ნეტავი იმ დროს ჩვენც გვეცხოვრა, ნეტავი იმ დროს ჩვენც აგვეტანა მძიმე ცხოვრების ქაპანი, ჩვენც ვყოფილიყავით უბრალო მასალა, უბრალო იარაღი ძველის ნანგრევის, ახალის აშენების.

დაფიქრებია ვინმე სერიოზულ მომენტს, რომელსაც ჩვენ განვიცდით, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ?

საშინელი სიდარიბე, დაცალიერებული საკუჭნაო, სიძვირე, სისხლის გუბეები, ათასი ნებსითი თუ უნებლიე შეცდომები, სავსე ციხეები, აფორიაქებული ოჯახები და ბინები. როგორ წარმოიდგენს დღეს ჩვეულებრივი მოქალაქე, რომ ასეთი მომენტის განცდა უდიდეს ბედნიერებად იქმნება მიჩნეული ხალხის მესაიდუმლესათვის? მხოლოდ იპოლიტე ტენები შეაქცევენ ასეთ მომენტს ზურგს. რასაკვირველია, მომავალშიაც ბლომად გაჩნდებიან ტენები, ბევრნი დასწყევლიან და შეაჩვენებენ სარევოლუციო მოძრაობას, მაგრამ..

მაგრამ ჩვენ ვიცით: არ ყოფილა არასოდეს რევოლუცია, მით უმეტეს დიდი რევოლუცია, ძველის დიდი რღვევა, ახალის დიდი შენება უტანჯოთ, უსიმშილოთ, უმსხვერპლოთ. პირიქით, ყოველივე ეს მოვლენა სისხლია რევოლუციის, კანონია მოძრაობის, სხეულია ბრძოლის.

განა ვიცით ჩვენ ყოველივე ეს? ვაფასებთ კი? ბედნიერებას ვგრძნობთ, რომ ასეთს ისტორიულს ხანაში ვცხოვრობთ, ვამჟღავნებთ კი ჩვენს შორსმჭვრეტელობას და სიყვარულს ამ მომენტისადმი?

— არა! ბევრი მოქალაქე თანამედროვე ისტორიულ ქარცეცხლს წყევა-კრულვით იხსენიებს, სამსახურის და ხელისშეწყობის ნაცვლად დაბლატობს სახალხო საქმეს, ახალის გამოჭედვის მაგიერ ხელს უწყობს ძველს და დახავსებულ ცხოვრებას.

რუსეთის ოქტომბრის რევოლუცია მსოფლიოს ისტორიაში მეორე რევოლუციაა 1789 წლის რევოლუციის შემდეგ მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ 1789 წლის რევოლუციამ ფეოდალიზმი მოსპო ბურჟუაზიის სასარგებლოდ, ეხლა კი ბურჟუაზიას და კაპიტალიზმს სპობს პროლეტარიატის სასარგებლოდ.

ერთი შინაარსის მოძრაობა, მაგრამ სხვა და სხვა ფორმის, სხვა სახის, სხვა ფერის.

მე-XVIII საუკუნეში რევოლუციას ასამარებდა ლეგიტიმისტები, მონარხისტები, როიალისტები, თანამედროვე რევოლუციის მოსპობას ლამობს ბურჟუაზია, ბურჟუაზიული დემოკრატია და ყვითელი პსიხოლოგიის ხალხის ნაწილები.

თავადები და ბერმონოზნები კი არ არიან კონტრ-რევოლუციის სცენაზე, ხშირად დაბალი წრის ხალხიც, ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებულნი, რომელთაც წვრილი საკუთრების პსიხოლოგია აკავშირებს რეაქციასთან, ძველთან, დახავსებულ წყობილებასთან.

1789 წლის რევოლუცია იმდენად ვიწრო ხალხის საქმე იყო, რამდენადაც ცხოვრებას უმთავრესად ქმნიდნენ ფეოდალური და ბურჟუაზიული ძალები. თანამედროვე მომენტი მასობრივ ძალების მოძრაობაა, მთელი ხალხის შეჯახებაა, მთელი ერების [illegible]. დღევანდელი ისტორიული მოძრაობა ამიტომ მასიური ბრძოლების დროა, მასობრივი გაჭირვების, მასობრივი მსხვერპლის, დიდი სისხლის ღვრის...

ამ შესანიშნავ მომენტს დღეს დღესასწაულობენ ძალები, რომელთაც ყოველივე კავშირი გაუწყვეტია ძველ ცხოვრებასთან, რომელნიც სამკვდრო-სასიცოცხლო ომებს აწარმოებენ მომავლისათვის, რომელთაც თავი გაუწირავსთ კაცობრიობის უდიდეს მიზნებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება—მთელი თანამედროვე წყობილების ლიკვიდაციაა, იმ წყობილების, რომელიც ამსხვრევს მუშათა კლასის და გლეხების ისტორიულ ბორკილებს, ისტორიულ მონობას და უბედურობას. ოქტომბრის გამარჯვება ყველა ერების განთავისუფლებაა, ყველა კოლონიების აღდგენაა, ყველა სიმაგრეების გამორეკვა წმინდა ტაძრიდან.

შეიძლება დღეს სრული ანალიზი გაუკეთოთ არსებულს ისტორიულს მომენტს?—ვერ შევძლებთ მოვიგონოთ თვით მთავარი მუხლებიც ამ მრავალმხრივ საინტერესო მომენტისა.

ერთის ხელის დაკვრით მიწასთან გასწორებულია საუკუნოების განმავლობაში გამოჭედილი აგრარული ურთიერთობანი, ერთის ხელით მოკვეთილია დაცემული სარწმუნოების კულტი, რომელიც მრავალ საუკუნოებით ეპატრონებოდა ხალხების სულს, გონებას, განადგურებულია მე 19 ე საუკუნის კაპიტალისტური ურთიერთობანი, ეროვნული ჩაგვრის პირობები, წარმოუდგენელია იდეა და საქმე უჩვეულო, ახალი სახელმწიფოებრივი სისტემისა, ქალთა [illegible].

დალეწილია მრავალი, თითქმის ყოველივე აბსოლუტი ძველი ნორმებისა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ დანგრეულ ცხოვრების ნაცვლად აგებულ იყოს სამოთხე, სასურველი, მშვენიერი წყობილება.

არა! არის მხოლოდ ნიშნები, კონტურები, ფორმები ახალი ურთიერთობისა.

ბევრი შექმნილია, რომელზედაც თვით კამპანელას, ან ფურიეს, ან ბლანს წარმოდგენაც არ ქონდა, ცხოვრებამ მოგვცა ახალი სისტემა, ახალი პრაქტიკა, ახალი იდეები, ჩვენ მოვშორდით ძველს არა მარტო სიტყვით, არა მარტო იდეით, შექმნილია ახალი საქმეები, გამოჭედილია ფაქტიური ახალი ურთიერთობა.

შეიძლება მოსპობა პიტალო სიტყვის, შეუძლებელია დანგრევა საქმის, რომელიც შვილია ცხოვრებას, რომელსაც საფუძვლად მომავალი აქვს.

მთელი მსოფლიოს საუკუნოებით დაჩაგრული ძალები ოქტომბრის დღეებში ხედავენ სიმბოლოს ახალი მომავალი ცხოვრების.

მთელი მსოფლიო დღესასწაულობს ისტორიულ ბრძოლებს სოციალიზმისათვის.

მთელი ქვეყნის ბურჟუაზია, ყვითელი პარტიები და კონტრ-რევოლუციის ამყოლ-დამყოლნი გლოვობენ ოქტომბრის დღეებს.

— წითელი დროშები მუშებში...

— შავი დროშები მდიდრებში... აი მთელი შინაარსი ოქტომბრის დღესასწაულისა.

დღეს 4 წელიწადის სიტყვა და საქმეა ახალი ცხოვრებისა. ჩვენ დღეიდან ვიწყებთ მე-5 წლის ბრძოლის პერიოდს მთელის ჩვენის არსებით ჩვენ ვუკავშირდებით მომავალს, მთელის ჩვენის არსებით ვშორდებით დღიურ გაჭირვებას, ბედნიერებად ვთვლით, რომ განვიცდით ისტორიულ მომენტს, რომ ამ მომენტში ვცხოვრობთ და მთელი ჩვენის სიცოცხლით ვნატრობთ:

— მომავალმა ისტორიკოსმა დასწეროს არა დრამა და ტრაგედია რევოლუციის, არამედ ისტორია ცხოვრებაში განხორციელებული ახალი სოციალისტური წყობილებისა.

თედო ღლონტი.

## ოქტომბერი და აღმოსავლეთის აღორძინება

კაცობრიობას მხოლოდ ზოგიერთი მომენტები აქვს ისეთი, როცა იგი ძალზე ცხოვრებას თავს აღწევს და გამოფხიზლებული, მკვირცხლს შემოქმედებას იჩენს.

რენესანსები, ილორძინების ეპოქები, მას მხოლოდ დროგამოშვებით ევლინება. ცხოვრების სიბინძურის წამლეკავი, ისტორიული მიროტების წარმხოცი—რევოლუციის გრიგალი ტანჯულ კაცობრიობის იშვიათი სტუმარია. ადამიანის ცხოვრებას ჩვეულებრივ პირობებში ნელი განვითარება ახასიათებს. ეს იმიტომაც აიხსნება, რომ მასში ბუდობს ორი ბუნება: პროგრესიული წინსვლელობითი და კონსერვატიულ-ტრადიციული. ნორმალ პირობებში ამ ფაქტორთა შორის ერთგვარი წონასწორობა მკვიდრდება, რომლითაც კაცობრიობის განვითარება არა ჩქარი ტემპით, მაგრამ მაინც პროგრესის გზით მიმდინარეობს. არის მთელი პერიოდები საზოგადოების ცხოვრებაში, როცა წარსულის ხმა საბოლოოდ ახშობს ცხოველმყოფელს აზრს, შემოქმედებას და მაშასადამე ისტორიის მსვლელობასაც; ეს ეპოქები რეაქციის ბატონობის შედეგია; იგი საზოგადოების და ხშირად კაცობრიობის ისტორიის ბორბალს ზანტად აბრუნებს, ან ცუდ შემთხვევაში უკულმა ატრიალებს.

მაგრამ კაცობრიობამ და მისმა ნაწილებმა იცის სხვაგვარი მდგომარეობაც, ვიდრე ეს ახასიათებს ან „ნორმალურ", ან რეაქციონურს პერიოდებს. დრო გამოშვებით, ხანგრძლივ პაუზებს შემდეგ, კაცობრიობის დაგროვილი ენერგია გამოსავალს პოულობს და რევოლუციონური აქტებით არყევს იმ სარეცელს, სადაც მყუდროება და სიმშვიდე სუფევდა მხოლოდ. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური ფუძენი ცხოვრებისა ინგრევა და დიდი ტკივილებით იქმნება ახალი ურთი-ერთობა.

მართალია რევოლუცია ხშირად სამყაროს ერთს ადგილს იჩენს თავს, მაგრამ მის ვულკანურ ძლიერებას ხანდახან მთელი მსოფლიოც კი მოჰყავს მოძრაობაში. ასეთს რევოლუციებს უძახიან დიდს რევოლუციებს.

კაცობრიობას ჯერ ხნობით ასეთი მასშტაბის ორი რევოლუცია ახსოვს: ერთი იყო საფრანგეთისა და მეორე რუსეთის დიდი რევოლუციები. ორივე ამ რევოლუციამ საპატიოთ დაიმსახურა დიდის სახელწოდება, მთელი კაცობრიობის ვითარება შეარყია ამ რევოლუციებმა; საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ფეოდალურ წყობილებას გაუთხარა საფლავი მსოფლიო მასშტაბით, რუსეთის რევოლუციამ კი—ბურჟუაზიული ურთიერთობის მესაფლავეობა იკისრა.

საფრანგეთის რევოლუციამ წინ წამოსწია ბურჟუაზიული ევროპა, რუსეთის რევოლუციამ პირველ რიგში დააყენა საერთაშორისო მშრომელთა და ჩაგრული აღმოსავლეთის გაღვიძება. განსაკუთრებით ეს ითქმის რუსეთის რევოლუციის მეორე პერიოდზე—ოქტომბრის გადატრიალებაზე. ამ დღიდან რევოლუციამ თავს იდვა არა მარტო სოციალურ-ეკონომიური გარდატეხა ყოფილი კაპიტალისტური წყობილებისა. მან იკისრა აგრეთვე უდიდესი როლის შესრულებაც: აზიის განთავისუფლება ევროპის მონობისაგან არის ის უდიდესი შინაარსი, რომელიც ახასიათებს უმთავრესად რუსეთის რევოლუციას. ოქტომბრის რევოლუციამ მოახდინა დიდი გავლენა არა მარტო ევროპის სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობაში, კლასთა და პოლიტიკურ პარტიათა გადაჯგუფებაში, არამედ მან ფეხზე დააყენა აღმოსავლეთი. ის აღმოსავლეთი, რომელიც ისტორიის პირველ საფეხურზე ძლევდა კულტურულად საკეებს ჩვენი პლანეტის ევროპიულ ნაწილსაც კი. დღეს უკვე აღმოსავლეთის ცხოვრება ბუდიდან ამოვარდნილია და მისი ნორმალურ კალაპოტში დაბრუნება შეიძლება მხოლოდ პოლიტიკურ-სოციალური თავისუფლების მოპოებით. როგორი ხასიათიც არ უნდა მიიღოს ამ მოძრაობამ, მისი უდიდესი შედეგები აშკარად ჩვენს შთამომავლობას გაოცებს და თვალს მოსჭრის.

მთელემზრე აღმოსავლეთი ძილს თავს ართმევს რუსეთის რევოლუციის ოქტომბრის გადატრიალების დღიდან, რამაც დამფრთხალ ბურჟუაზიულ მოაზროვნეებს აზიური საშიშროების საკითხი დაუყენა, პირიქით, ჩვენ გვგონია რომ კაცობრიობა ოქტომბრის რევოლუციონერთა აზიური პოლიტიკით მიიღებს იმ აქტიურს შემოქმედს, რომელიც ნებით ისტორიისა ამ სარბიელს ჩამოშორებული იყო. ოქტომბრის რევოლუცია არის ის ძალა, რომელმაც თავს იდვა გიგანტური ტვირთი აღმოსავლეთის ხალხების აღდგენისა და საზოგადოთ კოლონიალური ქვეყნების განთავისუფლებისა. მაგრამ მისი მნიშვნელობა ამითაც არ ამოიწურება. ოქტომბრის რევოლუცია უწინარეს ყოვლისა არის სოციალისტური რევოლუცია. ნოემბრის შვიდს ახალი სტილით მოხდა რუსეთში არა მარტო პოლიტიკური ძალთა გადაჯგუფება; ამ დღემ აღნიშნა კაცობრიობას კაპიტალისტური მეურნეობის დამრღვევი მეთოდებიც და მისი საწინააღმდეგო გარდამავალი ფორმებიც კი, ამ დღემ დაუძახა კაცობრიობას, რომ დამძიმებული კაპიტალისტური წარმოების გადაქმნა ახალს საფუძვლებზე, შეიძლება მხოლოდ მშრომელი ხალხის დიქტატურით და მისი ფორმებით: მუშათა და გლეხთა საბჭოებით. დღეს უკვე ერთი მეათედი ჩვენი პლანეტისა ამ საბჭოებით არის მოცვენილი, ერთი მეათედი კაცობრიობის ცხოვრებათა დიქტატორი მშრომელი კლასის ძალა-უფლებას ემორჩილება. სოციალისტური რევოლუციის კარებთან სდგას მთელი ევროპა. ამერიკა, აგი უკვე მოსჩანს გამოწყობილი რაზმები ამ კარების შესამტვრევად, რომ მოდიან. ჯერ არ ნახულ მოძრაობასთან აქვს საქმე მთელს კაცობრიობას. მთელი ქვეყნის მშრომელთა ეკონომიურ განთავისუფლებასთან ერთად, თავისუფლდება მონობის ხუნდებისაგან ასეულ მილიონიანი აღმოსავლეთის ხალხები. ოქტომბრის რევოლუცია იყო დამწყები ამ ჯერ არ ნახული პერიოდისა კაცობრიობის ისტორიაში. ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ დღეს რევოლუციის ოთხი წლის თავზე —მართლაც რევოლუცია—აჩქარებული და მეტად აჩქარებული ევოლუცია ყოფილა. ოქტომბრის რევოლუციამ კაცობრიობას ფერი უცვალა ეკონომიურ-პოლიტიკურად, ხელოვნებაში, მეცნიერებაში და დღეს უკვე არ არის არსად მეშჩანური მყუდროობა. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამვე მოაცურა აღმოსავლეთ ხალხთა ხომალდი და მოითხოვა მისი დატვირთვა ეკონომიურ-პოლიტიკური და კულტურული თავისუფლების ნადავლით ასე დაჟინებით, ასე გარკვევით.

ამრიგად ოქტომბრის რევოლუცია სიმბოლოდ შეიქმნა ყოველივე თავისუფლების, მონათა აჯანყებისა ბატონის წინააღმდეგ; იგი მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტია შეურაცხყოფილი კაცობრიობის უდიდეს ნაწილისა და ამიტომ მას ჩვენ ვესალმებით მთელი ჩვენი არსებით, მთელი ჩვენი მხურვალებით. დროა მთელი კაცობრიობაც გათბეს ამ რევოლუციის საჭირო სითბოთი.

გაუმარჯოს წითელს ოქტომბერს!

მე სან ნოდლი.

## დიდი ზეიმი

დიდი ზეიმი ახლოვდება. რევოლუციის დროშათა რხევა მუშათა კლასის თავისუფლების ემბლემაა. ქართველი მშრომელი დიდ ზეიმში მიიღებს მონაწილეობას. თუ რუსეთის ხალხს რევოლუციამ ბუნებრივი მთავრობა მისცა, თუ რუსეთის ხალხი მან დესპოტიზმის ტირანიისაგან იხსნა, ქართველი მშრომელი კიდევ მეტს ითხოვს ამ რევოლუციისაგან. იგი ზეიმში მივა იმ იმედით, რომ რევოლუციის დღესასწაული ამავე დროს მრავალ ტანჯულ საქართველოს დღესასწაულია.

ქართველი მუშა იზეიმებს 7 ამ თვეს, მაგრამ იგი ამ ზეიმში თავის აზრს ჩადებს, თავის გაგებას მოათავსებს. მისთვის ორი უდიდესი საკითხია დღეს დასმული, ორი უდიდესი მოთხოვნილებაა გადასაჭრელი. იგი შრომის თავისუფლებას ითხოვს და საქართველოს სუვერენობისათვის იბრძვის.

რუსეთის რევოლუციამ თეორიულად ორივე კითხვას რადიკალური გადაწყვეტა მისცა. ორივე კითხვა არსებითად გადასწყვიტა. ამიტომ დიდ ზეიმში ჩაებმება ჩაგრული ერი და ჩაგრული კლასი. მომავალი დღესასწაული მართლაც ჩაგრულთა დღესასწაულია. მაგრამ ამ დღესაც ბევრი გაიარს რუსთველის პროსპექტს, რომელიც „რუსთველს" არ სცნობს და მის სამშობლოს სუვერენობას ვერ ურიგდება. ბევრი გაივლის „ტფილისის ქუჩებს, რომელთათვისაც „ტფილისი" პროვინციათ არის წარმოდგენილი. ბევრი ფიქრობს, რომ მომავალი დღესასწაული მარტო ჩაგრულ კლასის დღესასწაულია. ჩვენ სხვაგვარად ვუყურებთ მას.

ჩვენთვის დიდი ზეიმი, მისთვის არის ესოდენი სიდიადის მატარებელი, რომ იგი მშრომელ ხალხთან ერთად ჩაგრულ ერსაც აერთებს. ეროვნული თავისუფლება, ეროვნული უღლის გადაგდება. აი ის უდიდესი შინაარსი, რისთვისაც იბრძოდა განაპირა ქვეყნები. ამ ბრძოლაში უდიდესი როლი შეასრულა ქართველმა ხალხმა. უდიდესი მსხვერპლი გაიღო ქართველმა ერმა.

ამიტომ იგი მთელი თავისის ხალისით იზეიმებს რუსეთის რევოლუციის დღესასწაულს იმ იმედით, მხოლოდ რომ ამ გზით შეუძლია მას მშრომელთა ბატონობის და საქართველოს თავისუფლების განმტკიცება.

ქართველი მშრომელისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ამ დღესასწაულს, ვიდრე რუსეთის მუშათა კლასისათვის. მართალია რუსეთის ხალხი საუკუნოებით განიცდიდა საშინელი და დამამცირებელი რეჟიმის უღელს, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად ქართველი მშრომელი ეროვნული ჩაგვრის უმწვავეს ფორმას იტანდა. ქართული ენა, ქართული მწერლობა, ქართული კულტურა მშობლიურ ნიადაგზე აღარ იწნდა და რუსიფიკატორული ხელი ცარიზმისა ანგრევდა და ანადგურებდა ყოველივეს, რაც ძვირფასი და წმინდათა წმიდა იყო ქართველი ერისათვის, რაც ცხოველმა იყო სუვერენობის არსებობისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ამიტომ ადვილი ასახსნელია რომ მკვეთრი მახვილი, რომელიც ხელში ეპყრა ქართველ მუშას, არსებითად იყო მახვილი განმკვირავი ჩაგრულისა, რომელიც ორი ბრძოლით, ორი მიმართულებით, ეროვნულისა და ეკონომიურის, ავიწროებდა ჩვენს ქვეყანას.

ამიტომ იყო მთელი ქართველი მწერლობაც კი გასული საუკუნის გასწვრივ, ეროვნული მოტივებით ხელმძღვანელობდა და იგი ეროვნული სულის ზრდათა და გაფაქიზების ემსახურებოდა. მთელი ჩვენი ცხოვრება იქითკენ იყო მიმართული, რომ ეროვნულ ენერგიას გამოსავალი ეპოვა, მაგრამ მთელი სისტემა სახელმწიფოსი ზღუდით შემორტყმოდა ეროვნულ ენერგიის გასაქანს.

დიდხნობით არ შეიძლებოდა ძირმომპალი დესპოტიზმი გამაგრებოდა ცხოვრების წინსვლას და ამ ობიექტური კულტურის პროცესმა რუსეთის რევოლუციაში ჰპოვა განსახიერება. ორი უდიდესი მომენტი უძლიერესი ფაქტორი გახდა რევოლუციის. სოციალ-ეკონომიური სტრუქტურის გარდაქმნა სამართლიან საფუძველზე და ეროვნული საკითხის რადიკალური გადაჭრა. ამ ორ უდიდეს მომენტს აღდგო ვერ მიუდგომეს ბოლშევიზმმა და იგი რევოლუციის მსვლელობიდან გაირიყა. ამ მომენტებს ხელი ჩასჭიდა ბოლშევიზმმა და იგი რევოლუციის ხელმძღვანელი გახდა.

დღეს, როდესაც ზეიმის ფერხულში ვებმებით ეს არ უნდა გვავიწყდებოდეს. ჩვენი სიტყვა აქაც ამ ორი დიდი პრინციპის განმტკიცებას უნდა ემსახურებოდეს. რამდენადაც ჰარმონიული ურთიერთობა დამყარდება რევოლუციის ლოზუნგებსა და პრაქტიკას შორის, რამდენადაც ეროვნულსა და სოციალურ საკითხებს თანაბარი ანგარიში გაეწევა სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, იმდენად მთლიანობა აღსდგება პრინციპებსა და პრაქტიკას შორის, იმდენადვე მეტი გრანდიოზობა და სიხალისე მიეცემა რევოლუციის ზეიმს, რევოლუციის დღესასწაულს.

რუსეთის ხელმძღვანელობით დაწყებული მოძრაობა ინტერნაციონალური ლოზუნგების ქვეშ მიმდინარეობს და მართლაც თუ მან გაიმარჯვა, გაიმარჯვებს თავის ლოზუნგთა რეალიზაციით, როცა შექმნის ჩაგრულ ერთა თავისუფლებას, ხოლო თუ იგი სხვა გზით წავიდა ფუცილებლად დამარცხდება.

ჩვენთვის სამი უდიდესი დღესასწაულია. ქართველი ხალხისათვის სამი ძვირ-

ფასი დღე. ეს არის 26 მაისი, დღე საქართველოს დამოუკიდებლობის, 1 მაისი, დღე მუშათა საერთაშორისო მოძრაობისა და 7 ნოემბერი, დღე რუსეთის დიდი რევოლუციისა.

ჩვენ ამ სამი დღესასწაულის სანახაობაში ორი დროშით მივემართებით და სამი დღესასწაულის შინაარსი ორი დროშის, ეროვნულისა და სოციალისტურის გამარჯვებას უნდა ემსახურებოდეს, მისთვის უნდა ზეიმობდეს.

ამიტომ მთელი ჩვენი გულის სიწრფელით გადვიხდით დიდ ზეიმს დიდი რევოლუციისას.

ხერ. ამაღლობელი.

## რევოლუციის დღესასწაული

დღეს შესრულდა ოთხი წელიწადი მას შემდეგ, რაც რუსეთის მშრომელმა კლასმა სოციალისტური დროშა აფრიალა.

დღეს პროლეტარული რევოლუცია ოთხი წლის თავს დღესასწაულობს.

ოქტომბრის რევოლუციამ ძირ-ბუდიანად შეარყია ბურჟუაზიულ რეჟიმის დედა ბოძი, მილიონ-მილიონ კაპიტალისტურ მონობის უღელი და მშრომელთა კლასს სანეტარო ცხოვრების ახალი სურათი გადაუშალა; კიდევ მეტი: მთელ მსოფლიოს ტანჯულ მასსებს ახალი პრობლემა წამოუყენა, ახალი მიზნები და ბრძოლის ახალი მეთოდები დაუსახა.

XIX საუკუნე თეორიის საუკუნეა, „თეორეტიული ფილოსოფიის“ ეპოქა იყო. XX საუკუნეში, ოქტომბრის რევოლუციის სახით, თეორიულ კითხვების პრაქტიკული გადაჭრა მოგვცა.

რუსეთის რევოლუცია პროლოგია მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციის. ამის ნიშნები ჩამოყალიბებულია უკვე...

ბურჟუაზიული ქვეყანა გაიხრწნა, იშლება, გაკოტრდა იდეურად, იგი დეგენერაციის გზას ადგას. თანამედროვე კაპიტალიზმი ეხლოდ არქეოლოგიურ ღირებულებას წარმოადგენს.

სოციალისტური რევოლუცია კი ვითარდება, ძაგრდება, კაჟდება, ძლდონეს იკრეფს, ბრწყინვალე გამარჯვების აპოგეას განიცდის.

მსოფლიო კაპიტალიზმი ადგილს უთმობს მსოფლიო სოციალიზმს, მსოფლიოს ცენტრალიზმი—მსოფლიო ფედერაციას.

დიდია ოქტომბრის რევოლუცია, დიდია მისი ამოცანები.

მიწა მიწის მუშას! თავისუფლება ერებს! ერთი სიტყვით, მუშათა კლასის ცხოვრების სრული, ინტეგრალი განახლება,—აი ლოზუნგი თანამედროვე რევოლუციის.

რუსეთის პროლეტარიატი დღესასწაულობს 7 ნოემბერს. ასეთივე აღფრთოვანებით ზეიმობს დღეს ჩაგრულ ერების მასსები.

ოქტომბრის რევოლუციამ გამოიწვია ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობა და დაჩქარა მისი სუვერენობის ცნობა de fecto და de iure ევროპის მიერ. მან ჩაუყარა საფუძველი ჩვენს ეროვნულ სოციალისტურ კულტურას.

აი რატომ გამოდის დღეს სადემონსტრაციოთ ქუჩაში საქართველოს მშრომელთა კლასი და რუსეთის მშრომელთა კლასთან ერთად 7 ნოემბერს დღესასწაულობს.

დღეს ბრძნულის სიდინჯით გადახედავს აზვირთებულ პროლეტარულ ლაშქარს საერთაშორისო რევოლუციის მალვანიური ჩქერი—III ინტერნაციონალი და გასინჯავს ენერგიას პროლეტარულ კულტურის მტერის—ანტანტასთან საბრძოლველად.

რევოლუციის მეხუთე წლის თავი კპოთეოზი იქნება ისტორიულ და საბოლოთ გამარჯვების...

გ. მუშიშვილი.

## რევოლუცია და მუშა

უსამართლობა, ცხოვრების უკეთმართობა, მონობა და ბატონობა მსოფლიოში ქვეყნის დასაბამიდან არსებობს თითქმის. ამბობენ, ხალხთა ცხოვრების პირველ ხანებში ადამიანები თავისუფლად სცხოვრობდნენ, მათი ცხოვრება მოწყობილი იყო თემურად: არ არსებობდა ფული, არ იყო ვაჭრობის სისტემა და ხალხი თავისუფალ შრომით, დამზადებულ საგნების გაცვლა-გამოცვლის საშვალებით ცხოვრობდა. ერთი სიტყვით ისეთი ცხოვრების პირობები იყო დამყარებული ხალხთა შორის, როგორსაც გულისხმობს მიმავალი ცხოვრების კომუნალური მიმართულება. შემდეგ განვითარდა ტექნიკა, გაჩნდა სამმართი იარაღები და ამის ზეგავლენით გაჩნდნენ ბატონები და მონები. მეცნიერების შემოქმედებაში ტექნიკის განვითარება ისეთი ელვის სისწრაფით მიმდინარეობს, რომ თანამედროვე ცხოვრების შვილები მოწმენი ვართ მრავალი საშინელებათა და საკვირველებათა. ტექნიკის განვითარებამ ჩვენ გვაჩვენა არა მარტო რკინისგზები, დიდი საწარმოვო ქარხანა-ფაბრიკები, უმავთულო ტელეგრაფი და ჰაეროპლანები, არამედ საშინელი და ბუმბერაზი ცეპელინები, რომელნიც მსოფლიო ომში პირნათლად ასრულებდნენ ბურჟუაზიის მიერ დასახულ მიზნებს. ტექნიკის განვითარებას მეცნიერებაში არა აქვს დასამაბი, იგი პროგრესიულად მიილტვის წინ, რათა კაცობრიობის ტანჯული ნაწილი-პროლეტარიატი გაანთავისუფლოს აუტანელ შრომის პირობებისაგან და გაუმართლოს მას, მის მიერ დასახული საბოლოვო მიზნები.

სოციალურ მეცნიერებამ მოგვცა ჩვენ განვითარებული ტექნიკა ფაბრიკები, დიდი ქარხნები, რკინის გზები და ყველა ის ძვირფასი და დაგროვილი სიმდიდრე, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოში ძევს, მაგრამ ყოველივე ეს, როგორც მუშათა კლასი—პროლეტარიატი, ფაქტიურად დაყვეჰმნილი არის მსოფლიო ბურჟუაზიისაგან.

მეცნიერების ნიჭის ნაყოფს, მუშათა კლასის შრომის ენერგიას და ბუნების სიუხვეს ეპატრონება მუქთა ხორა და პარაზიტი ნაწილი კაცობრიობისა ბურჟუაზიის სახით.

ასეთი ფორმის და ტიპის სახელმწიფოთა შორის ამ 4 წლის წინედ იყო რუსეთის სახელმწიფოც.

დინასტიის სადიდებლად ქვეყნის გვირგვინოსნმა დაიწყეს სისხლიანი და მტაცებლური ომები მაგრამ „გამარჯვება“ აღარ დასცალდათ და გაწამებულმა და ილაჯ გაწყვეტილმა მშრომელმა გლეხმა და მუშამ, აჯანყებით უპასუხეს ხალხის მტრებს და იმერიის ძირტანით დაანგრიეს მათი სამეფო ტახტი და ნიშნათ მშრომელი ხალხის ბატონობისა აღმართეს რევოლუციონური წითელი დროშა—სოციალიზმისა.

ასეთი იყო მშრომელი ხალხის ნებისყოფა.

მსოფლიო ავაზაკების მიერ დაწყებულ ომების პროცესში მშრომელი ხალხისკენ გამოსროლილი ტყვია უკან დაუბრუნა და პირველი მახვილი ბურჟუაზიულ კლას—რუსეთის პროლეტარიატმა ჩასცხო გულში და დაჰკოდა ისე, რომ მისი მკურნალობა ვერარა „ექიმს“ ვერ შეუძლიან.

კაპიტალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ მსოფლიო ომის პროცესში აჯანყდნენ აგრეთვე ევროპიელი მუშები:—ავსტრო უნგრეთში, გერმანიაში, ფინეთში და მრავალ სხვა წვრილ და მსხვილ სახელმწიფოებში. ავაზაკების მეთაურმა ლოიდ ჯორჯმა, ვილსონმა, გერმანიის კაიზერის შემკვიდრეებმა და გენერალ ფოშმა, ჯერ-ჯერობით შესძლეს და მოაგერიეს ევროპის რევოლუციონური მუშათა შეტევა, მაგრამ ეს ვერ შესძლეს რუსეთში პურიშკევიჩის და როძიანკოს შემკვიდრეებმა — დენიკინ ვრანგელის სახით.

რუსეთის პროლეტარიატმა სასტიკი და საარაკო ნების ყოფა გამოამჟღავნა თავის ოთხი წლის რევოლუციონურ ბრძოლის შემოქმედებაში და ეს რაინდული ბრძოლა ისეთი საგრძნობი იყო და არის, ისეთი გავლენა მოახდინა მან, რომ დღეს, ევროპის კაპიტალისტური ბურჟუაზია—თრთის და ძრწის ევროპის პროლეტარულ რევოლუციის მოლოდინში. რუსეთში დანთებული რევოლუციის ცეცხლი, მისთვის ჯოჯოხეთის ცენიად გარდაიქცა. ლამობს მის ჩაქრობას, მაგრამ „მახვერპლს“ ერიდება, ეშინიან მზვარაკად არ შეეწიროს...

რეაქციონურ ქვეყნებში, კონტრ-რევოლუციონერთა ბანაკებში, რეაქციის ყვავ-ყორნები ბჭობენ, ჰკვა ძალას ატანენ, „გონებას იკრებენ“ მშრომელი ხალხის მოძრაობას და რუსეთის რევოლუციის სულთათანას უგალობენ, დიპლომატიურ ჯამბაზობას მიჰმართავენ, ნოტებს-ნოტებზე სთხზვენ, იერიშებისათვის ემზადებიან—სცდეს კიდეც მაგრამ ამაოდ,—ევროპიელი მუშები მათ თვალ-ყურს ადევნებენ, სდარაჯობენ, იგინი მზად არიან მომლოდინე ბრძოლისათვის, ვინაიდან მათ კარგად იციან შავი ზრახვანი ევროპის ტირანებისა.

მაშ, წინ ამხანაგებო, თამამად, სასტიკი ბრძოლა უნდა დაინგრეს ძველი წყობილებით.

მუშათა კლასმა. რომელიც თანამედროვე რევოლუციონურ აჯანყებებს მეთაურობს. უნდა შეჰქმნას ახალი ქვეყანა პატიოსანი შრომისა.

დღეს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი ამ ფაქტის წინაშე სდგას, იგი აწარმოებს დაუდეგარ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უკეთესი მერმისისთვის. აქ პირველობა უეჭველია რუსეთის პროლეტარიატს ეკუთვნის: მისი ლოზუნგია: ეხლა კი გადამჭრელი ბრძოლა სრულ თავისუფლებისათვის.

იმპერიალისტურ უზარ-მაზარ სამეფოში იყო რომ პროლეტარულმა მუშათა კლასმა და რევოლუციონური სულით გაჟღენთილმა ჯარმა მტვრათ აქცია და დაამხო პეტროგრადის და მოსკოვის ქუჩებში მონური და თვითმპყრობელური რეჟიმი ორ თავიანი „არწივისა“ და გამოაცხადა სოციალიზმის სახელით.

— დამონებული ერების სრული თავისუფლება!..

ამ იმედებით და ამ ლოზუნგებით ვიბრძვით თავისუფალი ერები და ჩაგრული კლასები სოციალიზმის დასამყარებლად და დღე იცოდნენ მთელიქვეყნების ყვავ-ყორნებმა, რომ ძალა ამ ერებში და კლასებშია და ვერარა შეარყევს მის გაკაჟებულ მკლავებს და გასალკლდევებულ მაგრა ნებისყოფას.

რევოლუციონურ პროლეტარულ რიგებში ყოველთვის და ყველგან გავანგარდის როლს ასრულებდა და ასრულებს ეხლაც ასოთ-ამწყობი მუშა და ეს ბუნებრივიც არის. ასოთ-ამწყობი მუშის სოციალური და კლასობრივი თვით შეგნება გამომდინარეობს მისი პროფესიონალობიდან, მისი კულტურული საქმიანობის შრომიდან. სტამბის მუშებმა, მბეჭდავებმა როგორც თვითმპყრობელობის დროს, ისე რევოლუციონურ ბრძოლის პროცესში—პირნათლად შეასრულა თავისი სოციალისტურ-მუშური მოვალეობა. მბეჭდავი მუშები ყველა ქვეყნებში ჟანდარმერიის ზედამხედველით დევნილები—ნესტიან და ბნელ სარდაფებში ჰქმნიდნენ პროკლამაციების სახით იმ რევოლუციონურ ლიტერატურას, რომელიც ყველა ქვეყნის მუშებს მოუწოდებდა მონური წყობილების წინააღმდეგ და სოციალიზმის დამყარებას.

ასეთი იყო წმინდა და პირდაპირი მოვალეობა რევოლუციის წინაშე რევოლუციონერი მუშისა და ჩვენ ვამბობთ, რომ ეს მოვალეობა მან ჭეშმარიტად შეასრულა.

ჩვენ მოვუწოდებთ მბეჭდავ ამხ. მუშებს, განაგრძონ მათ ეს ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე. რევოლუციის გამარჯვება მათგან ბევრი რამის გაკეთებას მოითხოვს. გწამდეთ ამხანაგებო, რომ შორს აღარ არის ის სანეტარო დრო, როდესაც ძველი სამყარო მთლად დაინგრევა და მის ნანგრევებზე აშენდება ძმობ-ერთობის და პროლეტარიატის ალთქმის ახალი ქვეყანა!..

დღეს რუსეთის დიდი რევოლუციის ოთხი წლის თავია!

ეს პროლეტარიატის დღესასწაულია!..

ჩვენ გადავდივართ ბრძოლის მეხუთე წელში და ეს იქნება თავმჯდები რევოლუციონური პროლეტარიატის სრული გამარჯვების!

გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლუციას!

გაუმარჯოს პროლეტარიატის ძალაუფლებას!

გაუმარჯოს მსოფლიოს ფედერაციას!

გაუმარჯოს სოციალისტურ-ინტერნაციონალს!

ასოთ-ამწყობი დ. მეძმაშვილი.

## ახალი ამბები

— მიწის ძვრა. პარასკევს, ღამის დახლოვებით 2 საათზე მიწის დიდი ძვრა მოხდა. ტფილისში რამდენიმე ძველი შენობა დაანგრია.

— მწერალთა კრება. დღეს, დღის 12 საათზე ხელოვნების სასახლეში (სერგიევის 13) შესდგება საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის წევრთა საერთო კრება. ვთხოვთ ამხანაგებს დაესწრონ კრებას.

— საბურთალოს ადგილობრივ კომიტეტისა, მიწის კომიტეტისა, მუშათა კლუბის გამგეობას და საბურთალოს მცხოვრებთა საერთო შეერთებული კრება დანიშნულია დღეს, ნოემბრის 6 ს ნაშუადღევის 3 საათზე საბურთალოს მუშათა კლუბის შენობაში. განსახილველია ფრიად სასწრაფო და გადაუდებელი საკითხები. ამხანაგებსა და მცხოვრებთ სთხოვენ არ დაიგვიანონ.

— ტყის ცეცხლი. თელავის მაზრაში გაჩნდა ტყის ცეცხლი, რომელიც გავრცელდა 14 ვერსის მანძილზე ხელმძღვანელთა ცეცხლის ჩასაქრობლად დავკისრა ადგილობრივ ცეცხლის მქრობელ ინსტრუქტორ ამხ შანურაროვს მახლობრაიონების მცხოვრებთა მობილიზაციის საშუალებით,

— ნოემბრის 4 ს ტფილისიდან უსაქმო ხალხის გასაყვანად დანიშნულია 30 ვაგონი.

— ფოთში ჩამოიტანეს მარგანეცი, რომელიც იტვირთება ინგლისის 2 გემისათვის 300,000 ფუთამდე. ერთი გემი დაიტვირთება ფოთის მარაგით და მეორე ჭიათურიდან ჩამოტანილ მარგანეცით.

## საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

მთავარი კომიტეტის სხდომა.

დღეს, ნოემბრის 6 ს, შუადღის 12 საათზე „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია ახლად არჩეულ მთავარი კომიტეტის პირველი სხდომა. სხდომას უნდა დაესწრონ სარევიზიო კომისიის წევრები და მთ. ვარ კომიტეტის კანდიდატებიც.

## უცხოეთი

ბერლინი ნოემბრის 3. ელჩთა კონფერენცია უკანასკნელ სხდომებზე დაწვრილებით გაეცნო ჩრდილოეთ. ალბანეთის მდგომარეობას. გადაწყვეტილია წინადადება მიეცეს სამხრეთ-სლავიანთა მთავრობას თავი დაიჭირონ სამხედრო ოპერაციებიდან ალბანეთში. საკითხი ალბანეთის საზღვრების აღდგენისა ამ დღეებში გადასწყდება.

რომი, ნოემბრის 3. ლისაბონში ამერიკის კონსულის კარების წინ გასკდა ყუმბარა. მსხვერპლი არ არის. იქვე იპოვეს ქაღალდი, რომელშიაც ეწერა: თავდასხმა ამერიკის წარმომადგენელზე ნიშანია პროტესტისა ამერიკაში იტალიელ ანარქისტების დასჯის წინააღმდეგ.

მოსკოვი ნოემბრის 4 ბადენის ოლქში (გერმანია) საკანონმდებლო პალატაში არჩევნების დროს კომუნისტებმა მიიღეს სამჯერ მეტი ხმა, ვიდრე წინა წელს.

მოსკოვი ჩეხოსლოვაკიის, უკრაინის, პოლონეთის, მადიართა და ფერანელთა კომუნისტები, რომელიც ცხოვრობენ ჩეხო სლავაკიაში გაერთიანდნენ ერთ კომ. პარტიაში.

ბორდო ნოემბრის 3 დიდი ბრიტანეთის დელეგატებმა ვაშინგტონის კონფერენციაზე განაცხადეს ჟურნალისტების წინაშე, რომ ბრიტანეთის დელეგატები შეეცდებიან იმ კომპრომისზე წასვლის, რომელიც უზრუნველ ყოფს არა მარტო ბრიტანეთის იმპერიის უშიშროებას, აგრეთვე საყოველთაო ზავსაც.

— იტალიის დელეგატმა შანცერმა თავის მხრით განაცხადა, რომ ის ხელშეუწყობს საერთაშორისო გარანტიის დამყარებას, რომელიც უზრუნველყოფს ზავს — იტალიის უმაღლეს იდეალს.

— პორტუგალიის წარმომადგენლად იქნება კონფერენციაზე პორტუგალიის ელჩი ამერიკაში.

— მალფური და სხვა ბრიტანეთის ექსპერტები ლონდონიდან გავიდნენ ლივერპულში, სადაც გემზე სხდნენ ამერიკაში გასამგზავრებლად. მალფურმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის დარჩება ვაშინგტონში კონფერენციის დასრულებამდე, თუ ამის საშუალებას მისცემს ჯანმრთელობა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

დაჰკარგე პირადობის მოწმობა მოცემული რაჭის მაზრის სოფელ შქმერი № 165 მამაქია სპირიდონის ძე გვიმბრაძე, რომელიც ჩაითვალოს გაუქმებულად. 59

დაჰკარგე სალიჭვიო წიგნაკი № 3789 ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი სერგო ოკუჯავამ, დღეიდან გაუქმებულად ვაცხადებ. 60

ღრმა მწუხარებაში ცოლი: ბიძა, გიგო, ბიცოლა მარგალიტა, ბიძაშვილები: დარისპან, ალმასხან, ვანო და სეფე, რძლები: ეკატერინე, ეფემია მარია და მანია კალანდაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ს. ხიდისთავში (გურია) ოქტომბრის 24 ს მძიმე ავადმყოფობით (სახადი—СЫПНОЙ ТИФ) გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ქ. ტფილისის ვაჟთა მეხუთე გიმნაზიის მასწავლებელი

ბესარიონ ყარამანის ძე

კალანდაძე

58

ღრმად დამწუხრებულნი: დედა—ქრისტინე, ძმა გიორგი და რძალი ნინო შვილებით კალანდაძენი ბიძა მაქსიმე შარაშიძე, დები: ფიდოსი, ელვასი და ჟულიეტა, დის შვილები: თამარი, ნიკოლოზი, გიორგი, შალვა და გრიგოლი მენაბდენი, სიძენი იასონ გუნია და თევდორე ქერქაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, ოქტომბრის 24 ს მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა ქ. ტფილისის ვაჟთა მეხუთე გიმნაზიის მასწავლებელი

ბესარიონ ყარამანის ძე

კალანდაძე

პანაშვიდები ყოველ კვირას ს. ხიდისთავში (გურია) საკუთარ სახლში. ტირილის დღეთ დანიშნულია ხუთშაბათი, ნოემბრის 26 ს. ვსთხოვთ ყველა ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ აღნიშნულ დღეს დაგვესწრონ და აღმოგვიჩინონ მწუხარებაში მყოფნი. 58

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინა დავითის ასული შვილებით შურა, გუგული და ჩ ჩანა, დედა ელისაბედი ბერის ასული, ძმები: საწუელ და ვასილი, დები: ნატალია, ემილია, ნინა და ბიცოლა ტერეზია ანდღულაძისა უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარის

გიორგი ალექსის ძე ანდღულაძის

ორმოცის წირვას და პანაშვიდს, რომ ლიც გადახდილ იქნება კვირას, ნოემბრის 6 ს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. 57

გიმნაზიის მასწავლებელი

ამზადებს მოწაფეებს

სპეც. ქართული, საზოგადო ისტორია

მისამართი: იკითხეთ „ტრიბუნის“ რედაქციაში.